ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 92

შაბათი, 2 მაისი, 1898 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 92

შაბათი, 2 მაისი, 1898 წ.

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

თ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო ქართველთა ამხანაგობამ ძოსახერხებლადა სცნო დააიაფოს მის მიერ გამოცემული თხზულებანი

## თ. ი. გ. ჭავჭავაძისა,

რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შეძენისა.

დაკლებულ ფასად გაიყიდება წიგნები მხოლოდ 25 მაისამდე და შემდეგ-კი ისევ წინანდელ ფასად გაიყიდება.

პირველი ტომი გაიყიდება . 70 კ.
მეორე „ „ . 60 „
მესამე „ „ . 60 „
მეოთხე (ორი წიგნია) 1 მან. 20 „
და ოთხივე ტომი ერთად 3 მანეთად.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ გაეგზავნებათ მხოლოდ მაშინ, თუ ფოსტის ხარჯს გამოუგზავნიან ამხანაგობას, I ტომზედ 16 კ., მეორეზედ 16 კ., მესამეზედ 16 კ. და მეოთხეზედ 24 კაპ.

წიგნები ამ ფასად მხოლოდ ამხანაგობის კიოსკში იყიდება.

ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, ალექსანდროვის ბაღის თავში.

ქალაქს გარეშე მყოფთათვის ადრესი: Тифлисъ. Грузинское издательское Товарищество.
(50—б.—28)

ქართული თეატრი

კვირას, 3 მაისს 1898 წ.

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

I

## პეპო

კომედია 3 მოქ. სუნდუკიანცისა

II

## დაქცეული ქარა

ვოდ. 1 მოქ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნ ჩერქეზიშვილისა, გარგარეთელი, რჩეულოვისა და სხ; ბ-ნი გედევანოვი, სვიმონიძე, კანდელაკი, შათირიშვილი, ადამიძე, მჭედლიშვილი, თამაზიშვილი, კარბელი, გვარამაძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.
(3—უ.—1)

წლიური საერთო კრება

**„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" წევრთა**

დანიშნულია 13 მაისს, საღამოს 7 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

განსახილველი იქნება შემდეგი საგნები:

1, წლიური ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1897 წელს.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა წლიურის ანგარიშის შემოწმების შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1898 წლისათვის.

4, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

5, არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრებისა.

6, არჩევანი საზოგადოების თავჯდომარის და გამგეობის წევრთა.
(3—უ.—2)

დაიკარგა

რვეული—ხელთ-ნაწერი, სათაურით:

„პატარა მსხვერპლი"

ოსების ცხოვრებიდამ.

მპოვნელს ვთხოვთ მოიტანოს [illegible], „[illegible] სტამბაში", სადაც მიიღებს შესაფერს ჯილდოს.

(2—82—2) გ. სიუკაშვილი

## ვკისრულობ

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

**პლანების აღებას და ნიველიროვკას.**

**ალექსანდრე გრიგორის ძე სნექოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.
(50—80—6).

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(უკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვები. ავადმყოფებს.

**ი. თ. შროტასევიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაშეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову
(წ)

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ კაპიტნობა შტაბს-კაპიტნებს: მინგრელიის გრენადერის რაზმისა თავად ვაჩნაძეს, კავკასიის 1 მსროლელთა რაზმისა თავად ფავლენიშვილს, ფოთის ზურგის რაზმისა—ჩხეიძეს, მიხეილის ციხის ქვეითა ბატალიონისა კიდიაშვილს, აპშერონის ქვეითა მე-81 რაზმისა იდიშელიძეს, შემახიის მსროლელთა რაზმისა თავად წულუკიძეს.

ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ ინება და უბოძა ორდენი

წმ. მოციქულთ-სწორის თავადის ვლადიმირის მე-3 ხარისხისა თემირხანშურის ზურგის ბატალიონის უფროსს, პოლკოვნიკს ივანე გედევანიშვილს.

წმ. ანნა მე 2 ხარისხისა, კავკასიის გრენადერის არტილერიის ბრიგადის უფროსს თავადს ლეონტი ვაჩნაძეს.

წმ. ანნა მე-3 ხარისხისა: გორის ზურგის რაზმის კაპიტანს აბელ მაყაშვილს და კავკასიის გრენადერთა არტილერიის ბრიგადის კაპიტანს ივანე მუსხელიშვილს.

წმ. სტანისლავისა მე-2 ხარისხისა: ტენგინის მე-77 ქვეითა რაზმის პოდპოლკოვნიკს ბესარიონ გაბაშვილს და არტილერიის მე-20 ბრიგადის კაპიტანს კონსტანტინე ქავთარაძეს.

წმ. სტანისლავი მე-3 ხარისხისა: ტემირხანშურის ზურგის ბატალიონის შტაბს-კაპიტანს თავ. ნიკოლოზ თუმანიშვილს; ტვერის მე-43 დრაგუნთა რაზმის შტაბ-როტმისტრს ესაძეს, კურინის მე-79 რაზმის პორუჩიკს გიორგი თულაშვილს.

ებოძა ნიჟეგოროდის მე 44 დრაგუნთა რაზმის პორუჩიკს კობიაშვილს—შტაბს-როტმისტრობა.

## ახალი ამბავი

*** ოთხშაბათს, 29 აპრილს, ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის თავმჯდომარეობით კრება ჰქონდათ მცხეთის ტაძრის განმაახლებელ კომიტეტის წევრთ. თავმჯდომარის წინადადებისამებრ კრებამ დაადგინა: ვთხოვოთ საქართველოს ექსარხოსს მაღალ ყოვლად სამღვდელო ფლაბიანეს, რომ კომიტეტის თავმჯდომარეობა თითონ იკისროს. კრებას მოეხსენდა აგრეთვე, რომ კომიტეტის წევრებად მიღებულ იქმნენ: დიდუბის ეკკლესიის წინამძღვარი მ. კ. ცინცაძე და ბ-ნი ა. ი. ნატროშვილი. კრებამ ერთხმად მიიღო ეს წინადადება. ამის შემდეგ ლაპარაკი აღიძრა ტაძრის განსაახლებლად შემოწირულებათა შეკრების საქმის გაწეს-რიგების შესახებ, რადგან შემოწირულებათა შეკრება უკვე უმაღლესად ნება-დართულია. კრებაზედ გამოირკვა: ა) მეტად სამწუხარო ყოფა-მდგომარეობა ამ სიწმიდისა და ბ) ის, რომ შემოწირულება მაგრე რიგად არ შემოსულაო. სულ მოგ- [illegible] ნახლებას-კი დასჭირდება 200,000 მან. კომიტეტმა დაადგინა: ა) იზრუნოს მცხეთის ტაძრის საისტორიო-საარქეოლოგო აღწერისა, ტაძრის კარგად გადაღებულის სურათისა დ ტაძრის განსაახლებლად მოწოდების დაგზავნის შესახებ. ტაძრის აღწერა მიენდოს კომიტეტის წევრს ბ-ნს ნატროშვილს, მოწოდების შედგენა-მღ. კ. ცინცაძეს და სურათის გადაღება-ფოტოგრაფს ბ-ნს როინაშვილს; ბ) ყველა ამ საგნების დამზადების შემდეგ შემოწირულებათა შესაკრებად რუსეთში გაიგზავნოს მღვ. კ. ცინცაძე და ყარსის ოლქის ბლაღოჩინ-მღვდელი მ. კომარი, რომელთაც უნდა გადაეცეთ შუამდგომლობანი პეტერბურგისა, კიევისა და მოსკოვის მიტროპოლიტებისა და სხვა მაღალ წოდების კაცთა წინაშე შესაფერ დახმარების აღმოსაჩენად შემოწირულებათა შეკრების საქმეში. ადგილობრივ ამიერ-კავკასიაში შემოწირულებათა შეკრება მიენდოს მღვდელ-მონაზონს მ. გერასიმეს და სხვათ, რომელთაც დასახმარებლად მიჰმართავს კომიტეტი.

აღიძრა აგრეთვე ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა საშუალება უნდა იქმნას ხმარებული ტაძრის განახლების დროს, რომ ტაძრის პირვანდელი სახე იქმნას დაცულიო და კომიტეტმა დაადგინა, ამ აზრისს განსახორციელებლად საჭიროა მივმართოთ იმ ხუროთ-მოძღვართ არქეოლოგთ, რომელნიც იცნობენ და შესწავლილი აქვთ ეს ტაძარი, სახელდობრ, მაგალითად, პროფესორს კონდაკოვს, თავ. ტრუბეცკოის და საარქეოლოგო საზოგადოების თავმჯდომარეს გრ. უვაროვისას და ვსთხოვოთ დაგვეხმარონ ამ საქმეში.

*** ამიერ-კავკასიის სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის განყოფილებას, ხუთშაბათს, 30 აპრილს, საჯარო ვაჭრობით უნდა გაეყიდნა ამ ბანკში დაგირავებული მამულები, მაგრამ არც ერთი მამული არ იქმნა ვაჭრობაში ჩაგდებული, რადგან ზოგიერთ მსესხებელთ შესატანი გარდასახადი წარადგინეს და დანარჩენთა მამულები-კი განთავისუფლებულ იქმნენ კანონიერ შეღავათის ძალით.

*** 12 მაისს ტფილისის ოლქის სასამართლო განიხილავს ერთს მეტად საყურადღებო საქმეს, სახელდობრ აზ. მიხეილ შიოევისას, რომელსაც ის ბრალი ედება, რომ 1879 წელს თავისთან მსახურის ტარიელაშვილი ზედგავლენით მონაწილეობა მიიღო შტაბს-კაპიტანის პეტრე შიოევის მკვლელობაში. ამ მკვლელობის შემდეგ მიხეილ შიოევს სულით ავადმყოფობა აღმოაჩნდა და 19 წლის განმავლობაში მკურნალ ექსპერტებისა და ოლქის სასამართლოს მიერ სულით ავადმყოფად იქმ- [illegible] მართლომ მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ ამ ჟამად შიოევი აღარ არის სულით ავადაო, საქმის განხილვა დანიშნა 12 მაისისათვის.

*** ტფილისში საჯარო კითხვების მმართველმა კომისიამ შუამდგომლობა დაიწყო ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ სახალხო თეატრებისა და წარმოდგენების გასამართავად აშენდეს განსაკუთრებული სახლი და კომისია თავისს მხრივ გადასდებს ამ საქმისათვის 8,000 მანეთსაო.

*** 30 აპრილს, ტფილისის ოლქის სასამართლოს დარბაზში, ოლქის სასამართლოს წევრად ნამყოფი გ. ბ. წინამძღვარიშვილი გამოეთხოვა თავისს ამხანაგებს—ოლქის სასამართლოს წევრებს და თავმჯდომარეს. იქვე დაესწრო ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი. წინამძღვარიშვილს მიართვეს მშვენიერი ვერცხლის სურა ღვინისთვის და ჰიქები, რომელზედაც ამოჭრილია ასოები გ. ბ. და იმათი გვარი და სახელის ფაქსიმილე, ვინც მიართვეს. ტფილისის გუბერნატორმა და სასამართლოს თავმჯდომარემ მ. მ. შარიგინმა სიტყვით მიჰმართეს ბ-ნ წინამძღვარიშვილს, რომელმაც მადლობა გამოუცხადა დამსწრეთ და სხვათა შორის სთქვა, რომ ეს საჩუქარი ყველა ჯილდოზედ ძვირფასად მიმაჩნიაო.

*** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ განიხილა წევრთა საერთო კრების განაჩენი კავკასიის მოუსავლობით დაზარალებულ მცხოვრებელთა დახმარების შესახებ და დაადგინა იშუამდგომ-

ლოს კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე, რომ შემოწირულება იქმნას მოგროვებული ამ აზრით დაარსებულ კომისიის მიერ და „წითელ ჯვრის“ საზოგადოებას ცნობანი გაეგზავნოს იმის შესახებ, თუ რა ადგილები დაზარალდნენ მოუსავლობით და რომელს უნდა აღმოეჩინოს დახმარება ამ საგნისათვის მოგროვებულ თანხიდგან.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, თუ რა წესით მიეცეთ სესხი მევენახეთა და გამხმარ ხილის მწარმოებელთ.

*** სოხუმი. ერთის ტყის მწარმოებლის საჩივრისა გამო, რომ მარტო იმ დაფნის ტყის გაჩეხვის უფლებაში, რომელიც საჯარო ვაჭრობით 1,000 მან. გაიყიდა, მე 1,200 მან. გადავიხდიო, უკვე მომხდარი ვაჭრობა უკანონოდ იქმნა ცნობილი. საგუბერნიო მთავრობის განკარგულებით ხელ-ახლად ვაჭრობა უნდა მომხდარიყო 13 აპრილს, მაგრამ რაღაც გაუგებარ გარემოებათა გამო არ მოხდა. ეხლა უკვე გამოქვეყნდა, რომ ხსენებული ტყე საჯარო ვაჭრობით მიუყიდნიათ 24 აპრილს, ვიღაც სარგანიდისათვის 1,205 მან. და ვაჭრობაში სარგანიდის მეტს მონაწილეობა არავის მიუღია. მსურველი-კი ბევრი იყო და ზოგიერთნი მზად იყვნენ 1,500 მანეთი გადაეხადნათ ამ ტყის საყიდლად. ერთმა ამათგანმა უკვე საჩივრის ქაღალდი მიართვა ქუთაისის გუბერნატორს, რომ 24 აპრილს მომხდარი ვაჭრობა უკანონოდ იქმნას ცნობილი, რადგან მონაწილეობის მიმღების მსურველთა გაუგებლად მოხდა ეს ვაჭრობაო.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა ა. პ. მასტიცკიმ წინადადება მისცა მე-3 ნაწილის ბოქაულს, რომ განსაკუთრებული თვალყური ადევნე ალექსანდრეს ბაღს და პოლიციელთ დაავალე ბაღში შესვლის ნება არ მისცენ სხვა-და-სხვა მაწანწალათ და ტყუილა უბრალოდ მოხეტიალეთო. ამავე დროს პოლიცმეისტერმა სთხოვა ქალაქის მოურავს, რომ სხვა ადგილი დანიშნეთ იმ მოსამსახურეთა თავ-მოსაყრელად, რომელნიც ადგილს ეძებენო.

*** რადგან სისტემატიურად არ ასრულებს ხელ-შეკრულობას ქალაქის განათების მოიჯარადრე ვართანოვი, ამიტომ ქალაქის გამგეობამ დაადგინა დაითხოვოს ვართანოვი და თითონ იკისროს ქალაქის განათება.

*** იარმუკის წვრილმა ვაჭრებმა საჩივრით მიჰმართეს ქალაქის საბჭოს, რომ გამგეობა დიდს ფასს გვახდევინებს იმ ადგილებზედ, რომელზედაც კვირაობით საქონელს ვაწყობთ ხოლმე გასასყიდად და სთხოვენ, გამგეობამ თვიურად-კი არ გვახდევინოს ქირის ფასი, არამედ კვირეულადაო.

## შემოწირულება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გასამართ ბაზრობას შემოსწირეს:

კნ. ნინო სვიმონის ასულმა კაჩნამისამ — ხავერდის ბალიში.

კნეაჟნა სოფიო ზაქარიას ასულმა ანდრონიკოვისამ — სურათი ძვირფასის ხელთ-ქმნილის ჩარჩოთი.

ელისაბედ დავითის ასულმა ნატროევისამ — ერთი მუთაქა, ორი კალმის საწმენდი და ერთი ჩიგინით ნაკერი შანდლის ძირი.

## კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების კრება.

30 აპრილი.

ეს კრება მეტად საყურადღებო იყო, რადგანაც მას აზრადა ჰქონდა იმის გამორკვევა, თუ კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხე რამდენად არის გაჭირვებული შარშანდელის მოუსავლობით და რა ღონისძიება უნდა იქმნას მიღებული, რომ ხალხი სულ ერთიან არ ამოწყდეს შიმშილით. ბევრმა შეიძლება გაიკვირვოს კიდეც: „რის შიმშილი, სად არის შიმშილი? რუსეთის შიდა გუბერნიების დამშევა-კი გავიგე, ხოლო კავკასიისა პირველად მესმის“-ო! უბედურებაც ის არის, რომ ჩვენ ვერაფერს გავიგებთ ხოლმე, თუ გავიგებთ, ისიც მაშინ, როდესაც საქმეს თითქმის აღარაფერი ეშველება. ხოლო კავკასიის მრავალ კუთხეში რომ საშინელი შიმშილობაა, ხალხი ულუკმა-პუროდ სწყდება და სიცოცხლეს ესალმება, — ეს კრების 30 წევრთ ერთ-ხმად აღიარეს. ყველაზედ შესანიშნავი და საკვირველი აქ ის არის, რომ მხოლოდ ეხლა, წლის გასულს, როდესაც ხალხი მართლაც სწყდება ულუკმა-პუროდ, დაიწყო ლაპარაკი ყველამ ამ შიმშილობის შესახებ, კერძო კაცებმაც და საზოგადო დაწესებულებებმაც. ნუ თუ წინადვე არ უნდა შესდგომოდნენ ამ საქმეს? შორს რომ არ წავიდეთ, განა თვით ამ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რომლის წევრებიც 30 აპრილის კრებაზედ ისე გაცხარებულნი გაიძახოდნენ: „ხალხი შიმშილით იხოცება, უნდა თავი გამოვიდოთ და ვუშველოთ რამეო!“, იმ თავითვე თავდარიგი არ უნდა დაეჭირა? ნუ თუ ამ საზოგადოებამ ვერ გაიგო შარშანვე, როდესაც გლეხს არა მოემკა-რა და არა გაელეწა რა, შიმშილობა დადგებოდა? მაგრამ, ეტყობა, ეს პატივცემული საზოგადოება სხვა საქმეში ყოფილა გართული. ან კი რა გასაკვირველია, რომ საზოგადოებამ წინდაწინვე თავდარიგი არ დაიჭირა, როდესაც ეხლაც-კი ზოგიერთი წევრი ამ საზოგადოებისა გაიძახოდა: „მართალია შიმშილობა არის, მაგრამ მაინც კიდევ ჯერ-ჯერობით საჭიროა მცოდნე კაცები გავგზავნოთ და ის გამოვიკვლიოთ, სად რამდენადაა გაჭირვებული ხალხიო“. ზედ გამოჭრილია ამაზედ ნათქვამი: „სანამ პეტრე მივიდოდა, პავლეს ტყავი გაეძრესო“. სანამ ეს „მცოდნე“ კაცი თავის ბედნიერის თვალით დარწმუნდება, რომ ხალხი უპურობისა გამო ნამდვილად ესალმება წუთი-სოფელს და შეატყობინებს ამას საზოგადოებას, დამშეულ ადგილის მცხოვრებნი ყველანი წიაღსა შინა აბრაამისასა განისვენებენ.

30 აპრილის კრებაზედ კარგა ხნის კამათის შემდეგ იმის შესახებ, სწორედ არის შედგენილი წინანდელის კრების ოქმი თუ არა, კრების თავმჯდომარემ უგანათლებულესმა თავადმა პ. გრუზინსკიმ სთქვა, რომ წარსულმა კრებამ მიანდო ბ-ნ საკოვს თელავის, სიღნაღის და ტფილისის მაზრების მოუსავლობის შესახებ ცნობების მოკრება. სასურველი იყო ბ-ნ საკოვს წარმოედგინა ეს ცნობები, რომ საზოგადოებას მოესმინა იგი და შემდეგ გადაეწყვიტა, რა ღონე იღონოს შიმშილობის წინააღმდეგო.

ბ-ნი საკოვი. მე უკვე მოვკრიბე საჭირო ცნობები. გამოვკითხე, მაგალითად, ტფილისის მაზრის უფროსს, რომელმაც დაჰემარტებით მომიგო, რომ ტფილისის მაზრაში საშინელი გაჭირვებააო. სხვათა შორის, 1897 წლის შემოდგომიდგან დღემდე შემდეგმა სოფლებმა აიღეს სესხი პურისა და საკვების შესაძენად: საგარეჯომ, მანავმა, მარტყოფმა, პატარძეულმა, ბერთუბანმა, ნინოწმინდამ, ზორბალომ, ვაშლოვანმა, დაგეტხაჩინომ, დიდმა თონეთმა, ხატის-თელეთმა, წალახჯურმა, მჟავის საზოგადოების 10 სოფელმა, წყნეთმა და სხვათა. გარდა ამისა, სესხის გატანის ნება სხვა სოფლებსაც მიეცათ. სესხი ეძლევათ გაჭირვებისა და იმის კვალად, თუ რამდენი სულია თითო კომლში. როგორც 1897 წლის ანგარიშის შედარებითის უწყებიდგანა სჩანს, მოსავალი ყოფილა: 1892 წელს—175,520 ჩეტვერტი *), 1893 წ.—372,689 ჩ., 1894 წ.—303,299 ჩ., 1895 წ.—262,905 ჩ., 1896 წ.—151,249 ჩ., 1897 წ.—102,954 ჩ. შორაპნის მაზრიდგან თავ. ლეონიძე იუწყება, რომ ხრეთი და სხვა სოფლები შარშანდელის მოუსავლობით ძალიან არიან დაზარალებულნიო. ვენახებიც ძალიან დაშავდაო. ზაქათალაში მოუსავლობის გამო პურის ფასმა ძალიან აიწია. ვაჩნაძიანში სიმინდი კოდი 2 მანეთია. თავ. არღუთინსკიმ აგდამიდგან წერილი მიიღო, რომ 67 კომლს გამოკვების სახსარი არა აქვთო. დაღესტნის ოლქის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა, რომ მრავალ გაჭირვებულ სოფელს დახმარება აღმოეჩინოს.

ბ-ნი აღიბეგოვი. ცხინვალში პურის ფასმა ძალიან აიწია; გუშინ გორის მაზრიდგან გლეხები ჩამოვიდნენ, რომელთაც სთქვეს, რომ ფასმა ძალიან აიწია და მოსავალს-კი ცუდი პირი უჩანსო.

ბ-ნი მელიქოვი. მე პირდაპირ კახეთიდგან მოვდივარ და შემიძლიან შევამოწმო, რომ სიღნაღისა და თელავის მაზრაში ნამდვილი შიმშილობაა და ეს შიმშილობა მარტო წელს-კი არ არის, შარშანაც და შარშანწინაც იყო. მე ძალიან ვწუხვარ, დაწვრილებით ცნობები არა მაქვსრა ხელში.

შემდეგ სხვათაც წარმოადგინეს ცნობები იმისა, რომ ბევრგან ხალხს საკვები პური აღარა აქვს.

გამოირკვა, რომ ყველაზედ ძალიან დამშეული ყოფილა კავკასიაში

*) ჩეტვერტი უდრის $3^1/_2$ კოდს.

# ფელეტონი

## ნაწყვეტი

ადგა ყვავი სავარძლიდგან
სააშიყოდ, სანარნაროდ,
გაითხუპნა ფერ-მარილით
საარაკოდ, საანდაზოდ,
ტანთ ჩაიცვა ხავერდები,
მოემზადა სადარბაზოდ,
გულს მოისხა ალმასები
დასამშვენად, სალამაზოდ.

დ. მაჩხანელი

## წერილები ინგლისიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისა)

პარკები და ბაღები.—მუდმივი მწვანე.—ლონდონის ქუჩა.—სხვა-და-სხვა ქუჩები და მცხოვრებნი.—უზრდელობა და ლოთობა.—ღარიბ უბნების მცხოვრებთა სიღატაკე.

ყოველთვის-კი ბურუსით არ არის მოცული ლონდონი,—აქაც არის ხოლმე კარგი დღეები. მართალია, გარიზონტი და შორეული სივრცე ცისა მაინც თითქოს ნაცრის-ფერ ბოლით არის მოფენილიო, ასე რომ ისეთს გარიზონტს, რომელსაც ხმელეთზე ჰხედავს კაცი, ლონდონელი ვერც-კი წარმოიდგენს. იქმნება ეს იყოს იმის მიზეზი, რომ ინგლისის მხატვრები ისე მშვენივრადა ჰხატავენ ჰაერის სივრცეს? ინგლისელების სახელოვანს მხატვარს ტორნერს ჰაერის ხატვაში ბადალი არა ჰყავს.

კარგს დარში ამ დაღვრემილსა და უზარმაზარს ქალაქსაც სასიამოვნო ფერი და სახე ედება. აქაური ბაღები, ბაღჩები, ამწვანებული მოედნები ბავშვების სათამაშოდ გამართული, ყვავილნარები და ქუჩის ნაპირებში დარგული ხეები, ყოველივე ეს ისეა ამწვანებული, როგორც ჩვენში მხოლოდ გაზაფხულზედ არის, ივლისამდე, ვიდრე გვალვა ბალახს დასწვამდეს და გაახმობდეს. სინოტიე ჰაერისა და დღეში ორ-სამჯერ მორწყვა ბაღებისა და ბაღჩებისა არის მიზეზი, რომ ყოველივე ამწვანებულია შემოდგომის დამლევამდე, ბალახი-კი მთელს ზამთარს მწვანეა. ეს ძლიერ უკვირთ ხმელეთის მცხოვრებლებს.

სიმართლე უნდა სთქვას კაცმა, არც ერთის სატახტო ქალაქის მცხოვრებნი ისე არ უვლიან ბაღებსა და ბაღჩებს, როგორც ლონდონელები. ხეივანები შემკულია ათას გვარ ყვავილებით. მაგრამ პარკების სიმშვენიერეს წარმოადგენს მწვანით მოსილი ადგილები, სადაც ათასობით თამაშობენ ბავშვები, სადაც სხედან, სადილობენ და ხშირადა სძინავთ ხოლმე კიდეც სასეირნოდ მოსულს ოჯახობას და ხშირად, დიაღ, ძლიერ ხშირადა სძინავთ უსახლ-კარო და უბინაო ღარიბ-ღატაკ ხალხს. ეს ხალხი დასაძინებლად ეტანება ხშირს ბუჩქებს, არ გეგონოთ, რომ ვინმემ, თუნდა პოლიციამ შეაწუხოს ისინი, ვინც აქა სადილობს, ვისაც აქვე სძინავს, არ შეაწუხებს აგრედვე არავინ ქალაქიდგან მოსულ ახალგაზდა შეყვარებულ ქალებსა და კაცებს, რომლებიც ხშირად დადიან აქ თავისუფლად, გადახვეულნი. აქ, ამ პარკებში ნათლად იხატება თავისებური ცხოვრება და ზნე-ჩვეულება ინგლისელისა.

აბა კვირა დღეს მიბძანდით პარკში. თვალ წინ წარმოგიდგებათ აუარებელი ეტლები არისტოკრატთა და მდიდარ კაცებისა და აქვე შეჰხვდებით ორატორებს, რომლებიც მიტინგებსა ჰმართავენ და ლაპარაკობენ სარწმუნოებაზე, პოლიტიკაზე და სხ. აქვე თამაშობენ ბავშვები და აქვე დადის ცხვარი. აქვე გაისმის ხმაურობა ბეღურებისა და აუარებელ წვრილ ფრინველისა, რომელიც ხალხს არ ერიდება და ხელიდგან ართმევს საკენკსა და პურის ნამცეცებს.

არც ერთს ქვეყანაში ისე მოწიწებით არ უვლიან ფრინველებს, როგორც აქა. მათ შესახებ სწერენ ჟურნალებში, ჰკითხულობენ ლექციებს, აარსებენ მფარველ საზოგადოებებს. თითქმის ყველა დიასახლისი ზამთრობით ფანჯარაზე გადმოდგამს ხოლმე საკენკს ფრინველებისთვის. სამაგიეროდ ლონდონის შუაგულში ბაღები სავსეა ხოლმე ფრინველებით და იმათი ჟღავილ-ჟღურტული ცამდე ადის.

მშვენიერებაა ლონდონის ბაღები, ბაღჩები და ყვავილნარები, მაგრამ მაინც-კი არა ჰყოფნის ამ ქალაქს, სადაც ექვსი მილიონი მცხოვრებია*) მშვენიერი და უზარმაზარი სასახლეები ახვევია გარსა ბაღებსა და ბაღჩებს. აქ სუფთა და წყნარი ქუჩებია, არ არის აქ არც დუქნები, არ დადიან სისწრაფით ეტლები, არა გროვდება ჯგუფათ ფეხით მოსიარულე ხალხი. ყველაფერზედ ეტყობა, რომ აქ არის მოგროვილი სიმდიდრე ქვეყნის ყველა კუთხეებიდგან, თუმცა, სწორედ მოგახსენოთ, ამ სახლებს ვერაფერი არქიტექტურა აქვთ. ამ მხრივ ლონდონი ვერ შეედრება არა თუ პარიჟსა, ვენას, ვენეციას და რომს, არამედ ვერ შეედრება ვერც მარსელსა, ვერც მილანს და ვერც ბუდა პეშტს.

არ იფიქროთ-კი, რომ ლონდონში არ იყოს მშვენიერი სახლები. ვესტმინსტერის სააბატო, პარლამენტის შენობა, სასამართლოსი, ვოგზალი, St. Pancrace, მრავალი ეკკლესიები და საზოგადო დაწესებულებათა სახლები სწორედ რომ აკვირვებენ კაცს თავისის მშვენიერის არქიტექტურითა და სიდიდით. შესანიშნავს სახლებს რომ ერთად მოვუყაროთ თავი, ტფილისის ოდენა საუცხოვო ქალაქი გამოვა. მაგრამ ეს სახლები გაფანტულია სხვა უფერულ და უარქიტექტურო სახლებს შუა. თუ თითონ აქ არ არის კაცი, ძნელად წარმოიდგენს, როგორ ანაღვლიანებს კაცს ერთფერობა აქაურ ქუჩებისა და სახლებისა.

მთელი ქუჩები და მთელი უბნები ერთ გვარად არიან გაშენებულნი ერთისა და იმავე ფერის აგურით. მიდიხარ ქუჩაზე და სულ ერთავად ჰხედავ კედელს, კედელს, ნაცრის ფრად შეღებილს. ეს ერთგვარობა და ერთფერობა ძლიერა ჰბეზრდება ადამიანს და ბოლოს ზიზღსაც-კი მოჰგვრის. კიდევ კარგი, რომ ყვავილებსა და მწვანესა ჰხედავთ, თორემ მეტი გზა არ იქმნებოდა, კაცი გაექცეოდა ამ ადგილს, ნისლითა, წყვდიადით და კომლით მოცულს. მარტო ღარიბი უბნები-კი არ არის ასეთი. ასეთივეა ის უბნებიც, სადაც სცხოვრობს საშუალო შეძლების ხალხი, ე. ი. რომელთაც შეუძლიანთ წელიწადში დაჰხარჯოს 10, 20 და 30 ათასი მანათი. ღარიბ უბნებს ხომ ნუღარ იტყვით. ვიწრო ქუჩები, უსუფთაობა, აგურის ყუთები, რომელთაც ვითომ სახლები ჰქვიან, სადაც სცხოვრობენ, როგორც ჭიანჭველები, ლონდონის ღარიბ-ღატაკნი.

მაგრამ აქ უნდა მოგახსენოთ, ვის ეძახიან აქ ღარიბს? ჩემისა და თქვენის აზრით, მკითხველო, ოჯახს, რომელიც შესდგება ხუთის სულისაგან, რომელიც სცხოვრობს სამს ოთახში და რომელსაც აქვს დილით ჩაი და საუზმე (კვერცხი, ლორი, კარაქი,

*) მიდამოებითა და საგარაკო ადგილებით ლონდონს უჭირავს 470 ოთხ-კუთხი ვერსი, ბაღებსა და ბაღჩებს—45 ოთხ-კუთხი ვერსი. მაგრამ ლონდონის ზოგიერთ ადგილებში მაინც არ არის ბაღები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისისა, განჯისა, ქუთაისისა, ერევნის გუბერნიებისა და დაღესტნის ოლქის მრავალი მაზრა.

კრებამ კარგა ხნის კამათის შემდეგ დაადგინა: 1, იშუამდგომლონ, რომ მიეცეს დაზარალებულთ ხალხის შიმშილობისაგან უზრუნველ-საყოფელ თანხიდგან სესხი და შემწეობა თესლის შესაძენად; 2, იშუამდგომლონ მიეცეს ტფილისის გუბერნიის მოუსავლობით დაზარალებულთ სესხი სასოფლო-სამეურნეო თანხიდგან.

3, აღარ გამოერთვათ დარჩენილი გარდასახადი.

4, აღარ გამოერთვათ ის ჯარიმა, რომელიც მცხოვრებელთ ტყის მოპრისათვის დაედვათ.

5, გაუქმებულ ან შემცირებულ იქმნას ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ პურის გადატანის გარდასახადი.

6, ნება მიეცეთ უსასყიდლოდ ისარგებლონ სახელმწიფო ტყით.

7, განთავისუფლებულ იქმნან დროებით გზის ბეგარისაგან.

და 8 შესდგეს საშუალო კომიტეტი ტფილისში, რომელმაც უნდა მოიყვანოს სისრულეში საზოგადო კრების მიერ შემუშავებული ღონისძიებანი. ამავე კომიტეტმა მთავრობის ნება დართვით უნდა გამართოს ხელის-მოწერა დაზარალებულთა სასარგებლოდ.

დასასრულ შეუდგან იმის გადაწყვეტას, როდის უნდა იქმნას გამართული შინა მრეწველობის გამოფენა ამა წლის მაისში თუ შემოდგომაზედ ან მომავალ წელს. ხანგრძლივის კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა გამოფენა შემდეგ იქმნას გამართული.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. შალაური,** (თელავის მაზრა), 24 აპრილი. ეს სოფელი მდებარეობს თელავის ახლო, ასე ორის ვერსის მანძილზედ. იმისდა მიუხედავად, რომ ამ სოფელს არა აქვს წყაროს წყალი და რიყის მღვრიე წყალს სვამენ, მეტადრე ავდრიან დღეს, მაინც აქ ავადმყოფობა და ციებ-ცხელება იშვიათი მოვლენაა, რისთვისაც უნდა უმადლოდნენ მშვენიერს ჰავასა და მდებარეობას.

მცხოვრებთა რიცხვი ორას კომლს აღემატება და ღდემდის სასწავლებელიკი არა აქვთ; თუმცა ამ სოფლიდგან სასწავლებლად ბევრნი თელავში დადიან, მაგრამ ბევრნი-კი უსწავლელნი რჩებიან, ზოგორც საზოგადოდ მრავალს აქაურ სოფელში... ამის მიზეზი, რასაკვირველია, ხალხის დაუდევრობის გარდა, როგორც ამას ყოველთვის აბრალებენ, მცხოვრებთა სიღარიბე და ხელ-მოკლეობაა.

შარშან კიდევ ეს სოფელი სეტყვამ გაანადგურა და მოაკლო ერთად-ერთი ცხოვრების სახსარი — ღვინო. ამიტომაც წელს გიორგობის დღეს, რომელსაც ამ სოფელში 23-ს აპრილს იხდიან, დიდი ლხინი იციან და სხ., უფერულად ულხინარად და მოწყენილად ჩაიარა. არც უწინდებურად ჯამ-ჯიხვებით სმა იყო ღვინისა და არც არავინ გაგლეჯდათ კალთებს — „არა, ჩემთან წამოდიო“!..

დღეობამ მშვიდობიანად ჩაიარა, თუ არ მოვიხსენიებთ ზოგიერთ კაცუბატონებს, რომელნიც თავისუფლად და მოუკრძალავად თარეშობდნენ ეკლესიაში! ამ დღესვე იყო ჯვრის-წერა. ეკლესიის ეზოში გაემართათ ჯამბაზობა და როცა იქ დგომა მოსწყინდებოდათ, ეკლესიაში შემორბ-გარბოდნენ...

აქვე ეკლესიის გარს შემოკლებულს შეამჩნევდით ბამბის ძაფს, რომელიც, როგორც გავიგე, ზოგიერთ მანდილოსანთ მუხლ-მოდრეკით, ჩოჩვით შემოერტყათ ეკლესიისთვის, ვითომ-და, „შეთქმული“ ჰქონიათ და ნიშანი ყოფილიყო სინანულისა და ცოდვების მოტევებისა!.. კიდევ ბევრნი არიან ჩვენს კურთხეულს ქვეყანაში სიბნელით მოცულნი, მაგრამ რაღას აკეთებენ მღვდლები და სხვა გონება ნათელნი?..

ტ. ი—ძე

## წერილი ს. მიქელ-გაბრიელიდგან

(გურია)

„ისევ მიქელ-გაბრიელი!“—წარსული მამასახლისობა და მისი ყოვლად შემძლებლობა.—გზა სადგ. სუფსიდგან.—ბატონ-ყმობაა თუ ყეენობა?—„დიაღ, დროა!“.... ახალის ჯურის ხალხი და „მეგაზეთეების“ წყევა-კრულვა.—ტიკარაძის სიკვდილი.—„სხვისი ჭირი—ღობეს ჩხირი!“—„ღვინო არსად იყო—ეშმაკები ტიკებს ალბობდენო!“....

ისევ მიქელ-გაბრიელი! სწორედ რვა თვეა „ივერიაში“ მისი ჭაჭანება აღარ გვინახავს! მიიძინა, მიყუჩდა ძველებურად—ჩვენებურად! „მსხვილფეხობის“ სანუგეშოდ იშვიათად მხვდება ჩემს სეფის-პირზე გადახედვა: სულ ერთ-ორხელ წელიწადში. კარგ ამბებს, სასიამოვნოს, ღვთის წყალობას აქ რა უნდა; ავის ჩამოთვლა ვის შეუძლია, ან გაზეთის ფურცლები სად გვეყოფა! მაშ ნუ გამამტყუნებთ და კიდევ დავიწყოთ ჩვენებური რამე-რუმე!..

ეს რამდენიმე წელიწადია ვერც ერთმა ჩვენის საზოგადოების მამასახლისმა ვერ შეასრულა დაწესებული ვადა (სამი წელიწადი). აირჩევენ მამასახლისს, ან უკეთ რომ ვთქვათ, ორიოდე სოფლის ბობოლები აარჩევინებენ საზოგადოებას თავიანთ „მონა-მორჩილს“, ცოტას ხანს დასტკბება მამასახლისი და უძირო კვახივით მიჰგორავს მონავალისკენ. ამას წინად არჩეულმაც „მიზეზთა გამო სხვათა-და-სხვათა“ ვადა ვერ შეასრულა და ჯაჭვი კანდიდატს ჩააბარა. მიმოვავლოთ თვალი განსვენებულს მამასახლისობას, ვთქვათ პირდა-პირ ის მაინც, რისიც თქმა შესაძლოა. ეს წარსულს, მართალია, ვერასუ შველის, მაგრამ ახალს ხომ შეიძლება წინ წაუძღვეს და მოქმედების გზა აჩვენოს... წარსული მამასახლისობა ყველაზედ უფრო უფერული, უსიცოცხლო, ყოვლად უნაყოფო და ბაქი-ბუქობაზედ აგებული იყო. არც ერთი საჟენი საურმე შარა-გზა, არც ერთი არშინი გზა-ტკეცილი, არც ერთი ხიდ-ბოგირის ჩაკეთება! ჩვენის სოფლიდგან სადგურ სუფსამდე ათიოდე ვერსია; ეს გზა მეტის-მეტად საჭიროა. თუ რამ სულის მოსაბრუნებელი გვაქვს გასაყიდი თუ საყიდელი, ამ გზაზედ უნდა გაიაროს. კარგა ხანია, რამდენადაც ვიცი, მთავრობა საზოგადოებას აქ გზა-ტკეცილის გაყვანას სთხოვს. ადმინისტრაციის არხივებში, მგონი, აქ ასეთი გზა უკვე გაყვანილად ითვლება! სასაცილო არ არის, სამწუხაროც რომ არ იყოს? ერთი წამოიწვიმოს და მაშინ გაიარეთ ამ გზაზედ თუ გინდ „რაშით“; მამასახლისს ამისთვის არ ეცალა! ბედკრული სკოლა! იატაკ-სახურავ ჩამპალი დამტვრევას ჰლამობდა და დღესაც ჰლამობს; ვინ შეიტკივა თავი, არ შეკჭამოს ჭირმა! ახალს მამასახლისს ვუსურვოთ მეტი სიფხიზლე და საქმის ცოდნა.

ასეთი ამბები განა საკვირველია იქ, სადაც ჯერ კიდევ ყველაფერი ძალ-მომრეობაზე და კუდ-მომწვარა „კეთილ-შობილობაზე“ არის დამყარებული, სადაც ვინც მეტს დასჩაგრავს და შეაწუხებს სხვას, კაციც ის არის და ქუდიც მას ჰხურავს? ამ სტრიქონების დამწერს ჩემს ძაღლუმადურს სიყრმე-სივაჟკაცეში ბევრჯერ მინახავს ჩემი სოფლის ხან უკუღმა და ხან თავ-დაყირა ტრიალი და ყოველთვის ორიოდე „კუდ-მომწვარა კეთილ შობილთა“ (?) მეოხებით. ერთს აქაურს თავადს 4 აპრილს ცხენები დასჭირდა. მყისვე უბრძანა „მონათა თვისთა“ დაეჭირათ გლეხების ცხენები. „მონებმაც“ დაიჭირეს და საღამომდე ცხენებს ზურგზე ბოლი სდიოდათ. ამათში ერთი საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელის ცხენიც რევია. გვიკვირს, რას სთხოვენ დღეს მესაკუთრე გლეხებს (ამ თავადის ყმაც არ ყოფილან ეს გლეხები არას დროს) და მით უმეტესს სახელმწიფო სამსახურში მყოფს მასწავლებელს? ყეენობაა თუ ბატონყმობა? ამ გვარ ვაჟ-ბატონებს მეტი ჭკვა-გონება ხომ არ მოეთხოვებათ, ჩვენ-კი დღეს ორივე გადავარდნილი გვგონია. დროა, ყურადღება მიექცეს ამ ვაჟ-ბატონების სოფელზე თავ-აშვებით თარეშობას; დიაღ, დროა გაახსენონ კანონის არსებობა იმ კაცს, რომელმაც თავისი აურ-ზაურით 1892—3 წლებში, როცა გლეხები ეკლესიას აკეთებდნენ, ნამდვილი ყეენობა მოგვაგონა, რომლის მეოხებით სოფლის ჭირ-ვარამის ნამდვილი წევრები დღეს ცივს ქვეყნებში იხდიან სასჯელს, ვინ იცის, რისთვის, ვისი გულისთვის! დიაღ, დროა ჩვენმა გლეხებმაც გაიგონ, რომ დღეს გაუქმებულია ბევრისთვის სანატრელი ბატონ-ყმობა, ეს კაცობრიობის ისტორიის შავი წერტილი, რომლის მოგონებაზედ ბევრს პატიოსანს კაცს სირცხვილის ალი ასდის!

დღეს ჩვენს სოფელში ვხედავ ერთის ჯურის ხალხს, რომელიც აქამდე

---

მურაბა) შუადღისას კიდევ საუზმე და საღამოს 7 საათზე სადილი, ასეთი ოჯახი ჩვენ შეძლებულ ოჯახად მიგვაჩნია. აქ-კი ასე სცხოვრობს მუშა კაცის ოჯახი და ასეთი ცხოვრება ღარიბის ცხოვრებად უნდა ჩაითვალოს. ამგვარი ოჯახი სცხოვრობს ქალაქის განაპირას სახლში, რომელსაც აქვს თავისი ეზო და ბაღი. ასეთს სახლებს ათასობით აშენებენ ყოველ წელიწადს სახლების გამშენებელი საზოგადოებანი და ფულსაც იგებენ, თუმცა იაფად აქირავებენ-კი, სამ-ოთხს ოთახს კვირაში 5, 6 და 7 შილინგად*).

მშრომელი მუშა ხალხი ჩვენის აზრით შეძლებულად სცხოვრობს, აქაურების აზრით-კი ძლიერ ღარიბად.

მაგრამ არის კიდევ 80—100 ათასამდე სული, რომელიც სცხოვრობს ლონდონის შუაგულ იმ ჯურღმულებში, ვაიტჩეპელისა, დრუჩილელისა და სხვა უბნებში, რომლებიც განთქმულნი არიან მთელს ქვეყანაში დიკენსისა, ტომას გუდისა და კაცობრიობის სხვა მეგობართა აღწერის წყალობით. ასეთი ბუდე სიღარიბისა და სიღატაკისა ლონდონში ხუთია: ოთხი ლონდონის შუა-გულში, city-ს გარშემო, მეხუთე—დოკების გარშემო, ტემზაზე. საკვირველი ის არის, რომ აქ სხვა და სხვა ტომის ხალხი სცხოვრობს და მათ შორის უფრო მომეტებული უცხოელები არიან.

*) შილინგი უდრის 32 კაპ.

უფრო განთქმულ უბნებში, როგორიც არის ვაიტჩეპელისა, დოკები, სოჰო (soho) და ვლენკერველი დასახლებულია: პირველი—რუსეთიდგან მოსულ ებრაელებით, მეორე—მთელის ქვეყნის ზღვაოსნებით: ჩინელებითა, ინდუსებითა, ზანგებითა და ევროპის ყველა ეროვნებით; მესამე—ფრანგებითა, გერმანელებით, გერმანელ ურიებით; მეოთხე—იტალიელებით. ყველა ამ ტომისა და თესლის ხალხს შერჩათ აქ თავიანთი ხასიათი და ზნე ჩვეულება.

რუსეთიდგან მოსულმა ებრაელებმა თან მოიტანეს აქ დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის რუსეთისა და პოლონიის ქალაქების ზნე-ჩვეულებანი. ჭვავის პური, კომბოსტოს წნილი, მჟავე კიტრი, სელიოდკა; ძველის ტანისამოსისა და ფეხ-საცმელის ბაზარი; ჭუჭყიანი, დაგლეჯილ-დაკონკილ ტანთ-საცმელით დედაკაცები საზიზღარის პარიკებით, ასეთივე ვაჭრები დადიან ამ ბაზარში, ჰყვირიან, ფუსფუსებენ... კაცს ყურებს გამოუჭედავს ებრაელთა ენა, შეზავებული რუსულისა და პოლონურის სიტყვებით. ასე ეგონება, სადმე შკლავში ან ბერდიჩევში ვარო. ამ სურათის სავსებით გამომსახველად ფოსტის შენობას რუსულად აწერია „почтовая контора“, ასეთივე წარწერა აქვს ებრაელთა ენაზედაც. კომბოსტოსა და ებრაელთა ენასთან ამათ გადმოიტანეს აქ სიღარიბე და მუშა კაცის დაჩაგვრა. მაშინ, როდესაც ინგლისელი ტრედ-უნიონისტი დღეში $9\frac{1}{2}$ საათის მუშაობაში იღებს 6, 8 და 10 შილინგს, ხელობის მიხედვით, ებრაელი ხელოსნები, განსაკუთრებით ახლად მოსულნი დღეში 14—15 საათის მუშაობაში იღებენ 3 და 2 შილინგს! ეს საცოდავები დაჩვეულნი არიან თავიანთ ქვეყანაში ორ გროშად მუშაობას და აქ დღეში 1 მ. ან 1 მ. 30 კ. ჯამაგირის აღება დიდ ბედნიერებად მიაჩნიათ. ამ ფულით შეუძლიან იქონიოს მოავეჯებული ოთახი, დალიოს დღეში სამჯერ ჩაი, ისადილოს, გადაჰკრას ერთი ჭიქა ლუდი, მოსწიოს ხეირიანი თამბაქო და კიდევ ყოველდღე 50 კ. გადაანარჩუნოს. მაგრამ ასეთი ბედნიერი ცხოვრება ახლად მოსულის ხელოსნისა ინგლისელ მუშაკაცისათვის ნიშანია მონობისა და უბედურობისა.

თუ უცოლშვილო, მარტოდ-მარტო ღარიბი გაიკვლევს როგორმე გზას და იშოვნის ლუკმა პურს, ცოლიანსა და მასთან შვილებიანსაც სხვა გზა არა აქვს, რომ შიმშილით მოკვდეს. აი, სწორედ ამიტომ ყველა დასის საუკეთესო კაცები ჰყვირიან ამ ვაიტჩეპელის ჭირ-ვარამზედ. ინგლისის მუშა, რომელიც-კი იქ მოხვდება, თავისს თავს სიღარიბის მონად, უკანასკნელ ბოგანოდა სთვლის.

მართლაცა და რა ძნელი უნდა იყოს დღეში 14 საათი მუშაობა, მაშინ, როდესაც საზოგადო და სახელმწიფო სახელოსნოებში მომუშავეთ იმდენი მოახერხეს, რომ დღეში 8 საათზედ მეტს არა მუშაობენ და რამდენი უნდა იყოს, რომ ამ 14 საათის მუშაობაში მიიღონ მხოლოდ 3 და 2 შილინგი, მაშინ, როდესაც 8 საათის მუშაობისათვის იღებენ 7, 8 და 10 შილინგსაც-კი,—განა ეს ნამდვილი სირცხვილი, სიღატაკე და დამონავება არ არის?!. და როგორ საცოდავად, დაჩაგრულის თვალებით გამოიყურებიან ამ უბანში მომუშავე უცხო ქვეყნელნი! როგორ გამწარებულ-გაბოღმებულნი არიან მუშები ინგლისელნი და ირლანდიელნი, რომელნიც ვაიტჩეპელის სიღატაკესა და სიღარიბეში ჩაცვივდნენ. ამ უბნის ღარიბ ინგლისელზედ ბრიყვი, გონებით ჩლუნგი, უმსგავსი მე არ შემხვედრია არც ჩვენში, არც რუსეთში და არც დასავლეთ ევროპაში. კონსტანტინეპოლის მათხოვარა, ნეაპოლის ლაცცარონი, მთიან სავოის ხეობების კრეტინი, უფრო გულკეთილი, თანაგრძნობის ღირსია, ვიდრე ეს გამოტვინებული და გონება დაჩლუნგებული მუშა ხალხი, რომელიც ავსებს საპატიმროებს და საროსკიპო სახლებს... ამ ინგლისელთა ნახევარზედ მეტმა, თუმცა სკოლაში სიარული ყველასათვის სავალდებულოა, წერა-კითხვაც-კი არ იცის, მათ შეიძლება ვუწოდოთ განათლებულ ქვეყნის ველურები. მათ ტანსა და ფეხზედ აცვიათ, თითქმის დამოუკიდებელნი და გულადნიც-კი არიან... მაგრამ ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ იმათ წრეში ჩავარდეს ვინმე, განსაკუთრებით უცხო-ქვეყნელი: ასეთი კაცი თვალს ვერ აუქცევს ლანძღვა გინებას, დაცინებას და მუშტებსაც-კი. ჰეინე ამბობს, რომ ძალად ვკრავდი ხოლმე ხელს პარიჟში გამვლელ-გამომვლელ მუშებს, რომ მე მეგონა მათი მოხდენილი და სასიამოვნო „pordon, monsiour!“-ო. აქ-კი, ამ სიღატაკის უბნის გაუთლელ ველურთა შორის, კაი-კაისაც მიიღებთ თავში არამც თუ მარტო ხელის კვრისათვის, არამედ გამარჯობისათვისაც-კი. შარშან, ორმა ასეთმა ველურმა, თავის შესაქცევად ისე მაგრად მიბეგა შემთხვევით ქუჩაში გამვლელ-გადმოხვეწილი სომხები, რომ ერთი მათგანი იქვე მკვდარი დაეცა. საწყალი გადმოხვეწილი გამოექცა ბაშიბუზუკთა და ქურთთა მტარვალობას, მხოლოდ იმიტომ, რომ ბოლო მოჰღებოდა ლონდონის ველურის ხელით. აი, სწორედ ამ ველურთა და იმ საზოგადო პირობათა წინააღმდეგ, რომელთაც დაჰბადეს ეს ველურნი, გამოიდო თავი ყველა წოდებისა და კლასის საუკეთესო კაცმა და ქალმა. ეს უბნები—წყლულია, რომელიც ღრღნის და ჩირქსა სცხებს ინგლისს. საზოგადოებამ უკვე ბევრი გააკეთა; მაგრამ შესაძლებელი-კი არის ვითომ, რომ ამ გვარ კაცთ-მოყვარეობის საშუალებით ეს წყლული ფესვიანად აღმოიფხვრას?

საეჭვოდ მიგვაჩნია ესა.

ვ. მარველი

(შემდეგი იქნება)

უჩინარი იყო. ეს არის წყევა-კრულვით მომხსენებელი საზოგადოდ ყველა „ნასწავლთა“ და შემდეგ განსაკუთრებით „მეგაზეთეებისა“ (კორრესპონდენტებს ეძახიან), რომლებიც თურმე „თავისავე სოფლის კაცებს აგინებენ (!)“. ერთმა თურმე ისიც დაიქადა „ბერდენაი და პატრონაი არ დამელევაო“. ნამდვილად-კი ამ ჯურის ხალხში ერთი ვერ აგიხსნის, რა დააშავეს „მეგაზეთეებმა“, რადგანაც კითხვა არ იციან; მხოლოდ ყური მოუკრავთ, სწერენო. რა გვეთქმის? მახლას, მახლას! შორს კი ჩვენგან ასეთო მკითხველო! მართლის თქმაც კარგია, მარა ტყავიც კარგია:

„დიაღ, სიბრმავეს ხედვა სჯობია,
ბნელში ბოდიალს—სინათლის შოვა;
მაგრამ სინათლეც ხომ საფრთხობია,
თუ მტრის ლაშქარმა მარტო გიპოვა!“

ვაგლახ ჩვენ! რაღა გვეშველება, ხომ დავიღუპეთ! ვნახოთ, მართლა თუ ასეა „მეგაზეთეთა“ საქმე!...

მკითხველს ეხსომება, რომ კარგა ხანია ნავთის მაძებარმა უცხოელმა კაპიტალისტებმა თ-დ გურიელების მამულში სადგ. სუფსის ახლო მიწის საბურღავი მათხაბი დადგეს და დღე-და-დღე მოუთმენლად ნავთის შადრევანს ელოდებოდნენ. ჯერ-ჯერობით მხოლოდ მიწას „სჩიჩქნიან“, ნავთს-კი ვერ მიაგნეს. ამას წინად აქ ერთი უბედურება დატრიალდა: ამუშავებულმა მანქანამ დაასახიჩრა და მოჰკლა აქ მომუშავე გლეხი ტიკარაძე, რომელსაც დარჩა ცოლი და წვრილი შვილები. განსვენებული თვეში მხოლოდ 15 მანათს იღებდა; ამით თავიც უნდა ერჩინა და ცოლ-შვილიც; სიცოცხლეც იძულებული იყო განსაცდელში მიეცა. საკვირველი ზნე სჭირთ აქაურ ნავთის მაძებართ; ასეთ პატარა ფასთან მუშისთვის უქმე დღე არ არსებობს. გაჭირვებული გლეხი წელებზე ფეხს იდგამს და მაინც უკან არ იხევს. ასეთი მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში აღნიშნავს ღრმა იარას, რომელსაც საერთოდ ქონებით გაღატაკება და ფულის გაბატონება ჰქვიან სახელად. მოჰკლა მანქანამ ტიკარაძე და ვინ იკითხა ღვთის ანაბარად დარჩენილი მისი წვრილი შვილები და ოჯახი? „სხვისი ჭირი-ღობეს ჩხირიო“! კაპიტალისტებს, რომელთაც ტიკარაძემ თვეში 15 მანათად მიჰყიდა თავისი ღონიერი მკლავები, დასამარხი ფულისთვისაც არ შეუტკივებიათ თავი, თორემ სხვას ვინ დაეძებს. ვინ იცის, დღეს ჩვენს ცხოვრებაში რამდენი ტიკარაძეა ბევრისთვის ჯერ კიდევ უჩინარი!

ნავთის მაძებარნი სადგ. სუფსაში უკვე ნავთის აუზებს აკეთებენ. „ღვინო არსად იყო—ეშმაკები ტიკებს ალბობდენო“, სწორედ ამის შესახებ ითქმის, მაგრამ ვინ იცის: იქნება აუზების შიშმა ამოიყვანოს შადრევანი... ღმერთმა ინებოს, ბოლოს მაინც შეჭამოს ჩვენმა თხამ მგელი და ნავთი გვეღირსოს! მეტი რა გვინდა!..

ვ. სეფისპირელი

---

## დამაკვირდი

ბევრი ადამიანი მეხვსა ჰგავს: რითიც გასტენავ, იმისი მქონებელია.

კუზმა პრუტკოვი

* * *

ყოველთვის ასე: არიან მცემელნი და არიან ცემულნი. რომელი სჯობია, არ ვიცი; კაცია და გუნება.

ოსტროვსკი

* * *

სულთა ჩუენთა დადებაჲ ბრძანებულ არს ძმათა ჩუენთათვის.

წს. გიორგი მთაწმინდელი

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრეფილი ამბები)

უნგრეთის სატახტო ქალაქი ბუდაპეშტი ამ უკანასკნელ წლებში ძლიერ გაიზარდა. ამ ქალაქის მცხოვრებთ სხვა თა შორის შეუძლიანთ თვალები არ გაიწყალონ გაზეთების კითხვით. საქმე ის არის, რომ ბუდაპეშტში არსებობს ეგრედ წოდებული „გაზეთი ტელეფონი“. ეს მოლაპარაკე გაზეთი უკვე 10 წელიწადია, რაც არსებობს, მაგრამ უკანასკნელ ორ წელიწადს იმდენი მუშტარი გაუჩნდა, რომ მისი პატრონები ჰფიქრობენ კიდეც ამ გვარი გაზეთი სხვა ქალაქებშიაც დააარსონ. ბუდა-პეშტის „გაზეთი ტელეფონი“ გამართულია კერენეზერის ქუჩაზე; რედაქტორად არის ველა ვრაგი. „გაზეთი ტელეფონი განუწყვეტლივ ლაპარაკობს დილის $8^1/_2$ საათიდგან მოყოლებული ღამის 11 საათამდე. ფასი ამ გაზეთით სარგებლობისა ძლიერ იაფია, ასე, რომ საზოგადო დაწესებულებათა, ბიბლიოთეკებსა და რესტორანებს გარდა კერძო კაცებიც იხდიან იმის სარგებლობის ფასს.

პროგრამა გაზეთისა მეტად ვრცელია. ჯერ ატყობინებს ყველა თავისს მუშტარს წინა ღამეს მოსულ დეპეშას და ოფიციალურ ამბავს. ამას მოჰყვება: ბირჟა, ადგილობრივი სხვა-და-სხვა და სათეატრო ამბები, კორესპონდენციები, საპოლიტიკო და სხვა ამბები. ვინც შუადღემდე ვერ მოისმინა ეს ამბები, იმისთვის ტელეფონი ხელმეორედ დაიწყებს ლაპარაკს. საღამოთი კიდევ ერთხელ გამეორდება ყოველივე ეს. სადილის შემდეგ გაზეთი უამბობს მუშტარს პარლამენტის კრების ამბავს, ბირჟისას, ქალაქის ამბებს, სხვა ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილს ამბებს და სხ. საღამოს 8 საათზედ იმავ ტელეფონის შემწეობით კაცს შეუძლიან მოისმინოს ოპერა ან კონცერტი. ანტრაქტების დროს გაზეთი კვლავ მიაწოდებს ახალს დეპეშებს.

სადილის დროს გამოჩენილი პოეტები და მწერლები კითხულობენ თავიანთ უკანასკნელს თხუზულებებს. უნგრეთის პოეტები და არტისტები დიდის სიამოვნებით კითხულობენ და მღერიან ამ გაზეთის მუშტრებისათვის. თვით მავრ იოკაიც კი ჰკითხულობს თავისს თხზულებებს. ვინც ტელეფონით ლაპარაკობს გაზეთის რედაქციაში, ხელში განცხადებები უჭირავს და დრო გამოშვებით კითხულობს. მუშტარს, მაგალითად, ესმის ასეთი განცხადება: „თუ ცოლის შერთვა გსურთ, ამა და ამ დედაკაცს მიჰმართეთ და ის კარგს საცოლოს აგიჩენთ და სხ.“

„ტელეფონი-გაზეთის“ რედაქცია შესდგება ასე 40 თანამშრომელისაგან. ამას მიუმატეთ კიდევ რეპორტერები, რეცენზენტები და სხ. თითოეულ თანამშრომელის სახლი ტელეფონის მავთულით შეერთებულია რედაქციასთან. თითოეულ მუშტარის სახლში გამართულია მიკროფონები ე. ი. ისეთი მანქანები, რომელთა შემწეობით ადამიანს მშვენივრად ესმის ყოველივე, რასაც-კი ლაპარაკობს ეს საოცარი გაზეთი—ტელეფონი. თვით მანქანა ისეა მოწყობილი, რომ კაცს შეუძლიან ტახტზედ იწვეს და ისე გაიგონოს ყოველივე.

ზოგიერთებისათვის ამგვარი გაზეთი მეტად საჭიროა. ავადმყოფისათვის ხომ ამაზედ უკეთესს ვერაფერს გამოიგონებს კაცი. ტელეფონის მანქანები გამართულია ყველა საავადმყოფოში და ავადმყოფობით დასუსტებულ კაცისათვის კარგის სიმღერის გაგონება და ახალის თხუზულებების მოსმენა დიდად სასიამოვნოა.

---

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

30 აპრილი

**რომი.** კომოს პროვინციაში გამოცხადებულ იქმნა წეს-რიგი შიშიანობისა. ნოვალში დიდი უწესოება მოხდა.

**ნიუ-იორკი.** „Herald“-ს დეპეშით სწერენ: ვაშინგტონის მთავრობა ჰფიქრობს, ისპანიის ესკადრა იმიტომ დაბრუნდა კადიკსიდგან, რომ ესპანიასა ჰსურს ომმა დიდ ხანს გასტანოს და ამიტომ საჭიროა ისეთის სისწრაფით მოვიქცეთ, რომ ესპანია ვაიძულოთ ზავი მოგვთხოვოს.

**კონსტანტინეპოლი.** თესალიის ჯარი შესდგება 153 ბატალიონისაგან, 33 ბატარეისაგან, 22 ესკადრონისაგან, სულ ამ ჯარში 133,000 კაცია. სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა დათხოვნილ იქმნას რედიფის ჯარი, ხოლო ნიზამის ჯარი-კი გადაყვანილ იქმნას უწინდელ გარნიზონებში. სასახლის წრეებში ლაპარაკობენ, საჭიროა სერბიისა, ბულგარიის და ჩერნოგორიის საზღვრებთან ჯარს მოუმატოთო. თესალიის განთავისუფლება უკვე დაიწყო.

**შანხაი.** შანშში უწესოება მოხდა. დასწვეს ის სახლი, რომელშიაც უცხოელები სცხოვრობენ. წესიერება დამყარდა.

**ლონდონი.** „globe“-ს დეპეშითა სწერენ გიბრალტარიდგან: „აქ მოსულმა ინგლისელების გემმა ამბავი მოიტანა, წუხელი ვნახეთ ესპანიის ნაღმიანი გემი, რომელიც ალბეზისას და სრუტეს ჰდარაჯობს და მერე დავინახეთ, რომ ამ გემზე უეცრად გაჰქრა სინათლე, მერე რაღაც აელვარდა და გემი დაიღუპა. ასე ჰფიქრობენ, გემის ქვაბი გასკდაო. ამბობენ, რომ რაც გემზე ხალხი იყო, სულ დაიღუპა.

1 მაისი

**პეტერბურგი.** დღევანდელის ტირაჟის უმთავრესი მოგებანი ხვდა:

| №№ სერიისა | №№ ბილ. | მოგება მან. |
|---|---|---|
| 7835 | 5 | 200.000 |
| 4972 | 2 | 75 000 |
| 12944 | 39 | 40.000 |
| 9991 | 29 | 25.000 |
| 4790 | 16 | 10.000 |
| 4843 | 17 | 10.000 |
| 8418 | 4 | 10.000 |
| 12832 | 34 | 8.000 |
| 11697 | 19 | 8.000 |
| 12939 | 8 | 8.000 |
| 8380 | 20 | 8.000 |
| 15617 | 28 | 8.000 |
| 5427 | 20 | 5.000 |
| 2146 | 47 | 5.000 |
| 464 | 45 | 5.000 |
| 14965 | 18 | 5.000 |
| 5216 | 3 | 5.000 |
| 5871 | 50 | 5.000 |
| 12672 | 30 | 5.000 |
| 9448 | 36 | 5.000 |
| 340 | 36 | 1.000 |
| 15342 | 19 | 1.000 |
| 9223 | 17 | 1.000 |
| 617 | 17 | 1.000 |
| 10119 | 7 | 1.000 |
| 10422 | 11 | 1.000 |
| 1398 | 21 | 1.000 |
| 10836 | 29 | 1.000 |
| 4021 | 37 | 1.000 |
| 107 | 48 | 1.000 |
| 15343 | 44 | 1.000 |
| 4392 | 32 | 1.000 |
| 11328 | 37 | 1.000 |
| 350 | 15 | 1.000 |
| 502 | 50 | 1.000 |
| 7073 | 3 | 1.000 |
| 11945 | 10 | 1.000 |
| 11216 | 32 | 1.000 |
| 3221 | 13 | 1.000 |
| 5806 | 42 | 1.000 |

**ტამბოვი.** ფასი ქვავისა, შვრიისა და ხორბლისა ჰმატულობს.

**კი-ვესტი.** კარდენასს ახლოს სამხედრო გემი „ვილმინგტონი“, ნაღმიანი გემი „ვინსლოვი“ და პატარა გემი „გუდხონი“ ბრძოლაში იყვნენ, რომლის დროსაც ამერიკელებისა მოჰკლეს 1 ოფიცერი და 3 ჯარისკაცი და რამდენიმე კაციც დასჭრეს.

**ბომბეი.** ერთის კვირის განმავლობაში შავის ჭირისაგან გარდაიცვალა 138 სული, საზოგადოდ-კი გარდაცვლილთა რიცხვი 725 სულს უდრის.

---

# ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცნობებს ქ. ტფილისში უძრავ ქონებათა პატრონებს, რომ ამ 1898 წლის 15 აპრილისათვის მის მიერ შედგენილია გასანაწილებელი სია უძრავ-ქონებათა საერო გადასახადის გაწერის თაობაზე. ეს გადასახადი დაწესებულია სახელმწიფო საბჭოს 1893 წლის 27 დეკემბრის უმაღლესად დამტკიცებულის აზრის თანხმად.

1898 წლის გადასახადს ჯამს შეადგენს 68,529 მან. და 52 კ. და გადასახადის აკრეფის ხარჯად ტფილისის ქალაქის საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2600 მ., რომელიც თანახმად მიწებზედ დაწესებულ გადასახადის დებულების მე-13 მუხლისა, უნდა გამოერთვათ მამულის პატრონთ, რომელთაც გადასახადი აქვთ გაწერილი.

1898 წ. დასაფასებელ სიაში შეტანილი ქ. ტფილისის უძრავ მამულების ღირებულება, იმ საფუძვლით, რა საფუძვლითაც ქალაქის მამულები დაფასებულია, გადაწყვეტილია 39.458,789 მან. (მეტი შედარებით 1897 წ. 1.348,736 მან.), მაშასადამე ამ გადასახადის რაოდენობა იქნება:

### 1898 წლის.

| დასაფასებელი ჯამი. | ახალი გადასახადი. | | გარდასახადის აკრეფის ხარჯი. | | ს უ ლ. | | დასაფასებელი ჯამი. | ახალი გადასახადი. | | გარდასახადის აკრეფის ხარჯი. | | ს უ ლ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მანეთი. | მან. | კაპ. | მან. | კაპ. | მანეთი. | კაპ. | მანეთი. | მანეთი. | კაპ. | მანეთი. | კაპ. | მან. | კაპ. |
| 100,000 | 173 | 68 | 6 | 59 | 180 | 27 | 700 | 1 | 22 | — | 05 | 1 | 27 |
| 80,000 | 138 | 94 | 5 | 27 | 144 | 21 | 500 | — | 87 | — | 03 | — | 90 |
| 50,000 | 86 | 84 | 3 | 30 | 90 | 14 | 300 | — | 52 | — | 02 | — | 54 |
| 30,000 | 52 | 10 | 1 | 98 | 54 | 08 | 100 | — | 17 | — | 01 | — | 18 |
| 15,000 | 26 | 05 | — | 99 | 27 | 04 | 80 | — | 14 | — | 01 | — | 15 |
| 10,000 | 17 | 37 | — | 66 | 18 | 03 | 50 | — | 09 | — | — | — | 09 |
| 8,000 | 13 | 89 | — | 53 | 14 | 42 | 40 | — | 07 | — | — | — | 07 |
| 6,000 | 10 | 42 | — | 40 | 10 | 82 | 30 | — | 05 | — | — | — | 05 |
| 4,000 | 6 | 95 | — | 26 | 7 | 21 | 10 | — | 02 | — | — | — | 02 |
| 2,000 | 3 | 47 | — | 13 | 3 | 60 | 9 | — | 02 | — | — | — | 02 |
| 1,000 | 1 | 74 | — | 07 | 1 | 81 | 5 | — | 01 | — | — | — | 01 |
| 900 | 1 | 56 | — | 06 | 1 | 62 | 3 | — | 01 | — | — | — | 01 |

**მაგალითი:** ამ გვარად, 8745 მან. დაფასებულს მამულს გაეწერება გარდასახადი—15 მან. 19 კაპ. (8000 მან.—13 მან. 89 კ., 700 მან.—1 მან. 22 კ., 40 მან.—07 კ. და 5 მან.—01 კაპ. სულ 15 მან. 19 კაპ.) და გადასახადის აკრეფის ხარჯი—58 კ. (53 კ.+05 კ.=58 კ.); 56,538 მან. დაფასებულს მამულს—სახელმწიფო ხარჯი 98 მან. 19 კ., (86 მან. 84 კ.+10 მან. 42 კ.+87 კ.,+05 კ.+01 კ=98 მ. 19 კ.); და გადასახადის აკრეფის ხარჯი—3 მან. 73 კ. (3 მან 30 კ.+40 კ.+03 კ.=3 მან. 73 კ.), ე. ი. ახალი გადასახადი ერთად გადასახადის აკრეფის ხარჯით ნაკლებია ქალაქის დასაფასებელ გადასახადზე თითქმის $^1/_4$-დით.

უძრავ მამულების ახალ გარდასახადს შორის ის განსხვავება არის, რომ ახალი გარდასახადი არ გაეწერება:

1) იმ ქალაქის განაპირა მყოფ ცარიელ მიწებს, რომელიც არავითარს შემოსავალს არ იძლევა (მიმართულება იმ მიჯნისა, რომელიც ქ. ტფილისის შუა ადგილებსა ჰყოფს ქალაქის ნაპირა მიწებისაგან, ნაჩვენებია დაწვრილებით 1889 წ. გაზეთ „კავკაზის“ 114 №-ში).

2) იმ მცირე ფასიან მამულებს, რომელსაც გადასახადი 25 კაპ. ნაკლები შეხვდება (განაწილებულ სიით სულ უმცირესი ფასი ცალკე მამულისა ამ 1898 წ. 145 მან.).

3) სახელმწიფო მამულებს.

უფრო დაწვრილებით ცნობის შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში, სადაც ერთის თვის განმავლობაში განცხადების დაბეჭდვიდამ გაზ. „კავკაზში“ მიღებული იქმნება თხოვნა იმ მემამულეთაგან, რომელნიც ასეთის განაწილებით კმაყოფილნი არ არიან.

ვადის ერთის თვის გასვლის შემდეგ ქალაქის გამგეობა განაწილებულს სიას წარუდგენს ქალაქის საბჭოს და აგრეთვე უძრავ-ქონებათა პატრონთა თხოვნას გადასახადის შესახებ და გამგეობის პასუხს. დამტკიცდება თუ არა განაწილებული სია საბჭოსაგან, ქალაქის გამგეობა დაუყოვნებლივ დაურიგებს უძრავ-ქონებათა პატრონებს ფურცელთ, რომელშიაც საბოლოოდ იქნება აღნიშნული, თუ რომელს ქონებას რა გადასახდი გაეწერა.

(1—1).

Дозволено цензурою, Тифлисъ 1-го Мая 1898 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.